



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კალო



კალო. ნ. ფიროსმანაშვილი. "კალოობა".

კალო, კ ა ლ ო ბ ა, პურეულის სალენი ადგილი (ღია ან დახურული). ღია კ. გავრცელებული იყო საქართვე. ყველა კუთხეში, დახურული კი – აღმ. საქართვე. მთის ზოლში. კ-ს უმთავრესად მართავდნენ სწორ, გამლილ ადგილზე. საამისოდ ძველად მიწური სახლის ბანსაც იყენებდნენ. კ-ზე პურს ლენავდნენ კევრით, ქვის დაკბილული მორგვებით (ჭარჭარა) ან შინაური საქონლის (ხარების) გადატარებით. კევრსა და ჭარჭარაში უმთავრესად ხარებსა და კამეჩებს აბამდნენ. ლენვის დასაჩქარებლად ძნას ნიხით ხშირად აბრუნებდნენ, რასაც კ-ს ქცევა ერქვა. ნიხით ქცევის დროს

იცოდნენ „კალოს გულის გამოღება“ – ნალენის გახვეტა კ-ს ნაპირებისაკენ, რათა კევრის კოხებს მიწის ბედაპირი არ აეჩიქნა. ნალენი არნადით იხვეტებოდა. ხვავს თავდაპირველად ფინლით, შემდეგ ნიხით ანიავებდნენ, რასაც ნიხაბში გამოყვანას ეძახდნენ. ხორბლის ხვავს ცხავში ატარებდნენ, შემდეგ – ცხრილში. გაცხრილული ხორბალი სახლში გადაჰქონდათ, ზოგჯერ კ-ზე მოწყობილ მარცვლეულის შესანახ ორმოებსა და ხაროებში ინახავდნენ. კ. წმინდა ადგილად მიაჩნდათ. ავი ძალისაგან დასაცავად კ-ზე დატოვებულ ხვავში რკინას ჩატოვებდნენ ან ტყემლის ტოტს ჩაასობდნენ. ძველად კ-ს განათვლა ცხვრის დაკვლითაც სცოდნიათ. კ-ზე გაჰქონდათ ახ. მოსავლისგან მომზადებული პირველი ნამცხვარი.

კ. და კალოობა (პურეულის ლენვის პერიოდი) ხანგრძლივი და შრომატევადი სამეურნეო ციკლი იყო, რ-იც ივნისიდან იწყებოდა (კახეთი) და საქართვე. სხვადასხვა კუთხეში სექტემბრამდე გრძელდებოდა. მთის ზოლში დახურულ კ-ზე ხორბლეულს ზამთარშიც

ლენავდნენ.

ლიტ.: ჯ ა ლ ა ბ ა ძ ე გ., აღმოსავლეთ საქართველოს სამინათმოქმედო იარაღების ისტორიიდან, თბ., 1960.

გ. ჯალაბაძე
